



საბავშვო პედაგოგთა კავშირი

საგანმანათლებლო საჭიროებები (გამოწვევები) საჯარო სკოლებში, რომლებშიც
ეთნიკურად ქართველი რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები სწავლობენ ან
ასწავლიან

(ოზურგეთის რაიონის სკოლების მაგალითზე)

სარჩევი

პრობლემის აღწერა	3
კვლევის ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები	10
1. სამართლებრივი ასპექტი.....	16
2. არის თუ არა სასკოლო ცხოვრება რელიგიურად ნეიტრალური?	18
3. სასკოლო ცხოვრებაში რელიგიური ინტერვენციის მიზეზები	22
4. საჯარო სკოლებში რელიგიური ინდოქტრინიზაციის სოციალურ-კულტურული შედეგები	25
5. სასკოლო ცხოვრებაში რელიგიური ინტერვენციის პრევენცია	32
ბიბლიოგრაფია	36

პრობლემის აღწერა

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი – ნახევარ მილიონზე მეტი – არის არა მართლმადიდებელი, არამედ სხვა აღმსარებლობის მქონე. არამართლმადიდებელ მოქალაქეთა შორის ერთი ჯგუფი ეთნიკურად ქართველია. ეთნიკურად ქართველ არამართლმადიდებლებში ძირითადი ნაწილი მუსლიმანია და ცხოვრობს საქართველოს ორ რეგიონში – აჭარასა და გურიაში.

აღნიშნულ რეგიონებში ბევრია ისეთი საჯარო სკოლა, რომლებშიც, როგორც სკოლის მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა, დიდ ნაწილს (ზოგჯერ – უმრავლესობას) აღმსარებლობით მუსლიმანი ქართველები შეადგენენ. ამ ჯგუფის სოციალიზაცია არღვევს იმ საყოველთაოდ გავრცელებულ პარადიგმას, რომ ქართველად ყოფნა მართლმადიდებლად ყოფნას ნიშნავს; რომ ქართველობა ლამის აბსოლუტურად დაიყვანება მართლმადიდებლობაზე (ანუ „ქართველისა“ და „მართლმადიდებლის“ სემანტიკური ველები, ფაქტობრივად, ფარავს ერთმანეთს).

აღნიშნული კვლევის ფარგლებში სფეროს ექსპერტების მიერ ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შეხვედრის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ ეთნოცენტრისტული პარადიგმის გამო მუსლიმანი მოსწავლეები და მასწავლებლები სხვადასხვა საგანმანათლებლო და სოციალური გამოწვევის წინაშე დგანან, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურული ნიმუშების იდეოლოგიზირებული (აქცენტით მართლმადიდებლობაზე) სწავლებით ამ საგნებისადმი (ზოგადად, სწავლისადმი) გაუცხოების გაჩენა მუსლიმან მოსწავლეებში;
- მუსლიმანი მოსწავლეებისთვის დისკრიმინაციული გარემოს შექმნა კლასგარეშე აქტივობებში (მაგალითად, ექსკურსიებში, მართლმადიდებლურ რელიგიურ პრაქტიკაში) მათი ჩართვის მოთხოვნით;
- მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის ხელის შეშლა „ხელშეუხებელი სფეროების“ (როგორცაა მართლმადიდებლური რელიგიის პრინციპები) სასკოლო სივრცეში კულტივირებით;
- ზოგიერთ სკოლაში მართლმადიდებლური ატრიბუტიკის გამოყენებით (მაგალითად, ე.წ. „რელიგიური კუთხეები“, სამლოცველოები) მუსლიმან

მოსწავლეთა და მასწავლებელთა რელიგიური გრძნობებისადმი უპატივცემულობა;

- მუსლიმანი მოსწავლეებისა და მასწავლებლების სტიგმატიზაცია („თათრები“, „სუნიანები“, „ფიზიკური შრომისთვის გაჩენილები“ და სხვ.);
- არასრულწლოვან მუსლიმანთა მოკლევადიანი შრომითი მიგრაცია თურქეთში და სხვ.

მუსლიმანური თემით წარმოდგენილ საჯარო სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლება ხშირად გულისხმობს „რელიგიურობის“ სწავლებას, რაც, „სწორი“ რელიგიური სტანდარტების მიწოდებაზეა ორიენტირებული; ხოლო ეს სტანდარტები მხოლოდ მართლმადიდებლურია. ამ მიზნით საჯარო სკოლებში იწვევენ სასულიერო პირებს, რომლებიც, აშკარად თუ ფარულად, პროზელიტისტური საქმიანობით არიან დაკავებული. ასეთი ქმედებით საჯარო სკოლები არღვევენ სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს, რომელშიც რელიგიურობის ჩამოყალიბება შეიძლება იყოს მხოლოდ ოჯახის, ეკლესიის ან თუნდაც კერძო კონფესიური სკოლების მოვალეობა.

საქართველოში ჩატარებული სხვადასხვა კვლევა (მაგალითად, ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების დისკურსის ანალიზი¹) აჩვენებს, რომ ისლამი ზოგიერთ ისტორიულ პროცესში წარმოჩენილია, როგორც იდეოლოგიური იარაღი, პოლიტიკური ინსტრუმენტი, ან გარკვეული გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციის წყარო. ამის საპირისპიროდ, მართლმადიდებლობა არის მარტოოდენ ისეთი კეთილშობილური მიზნებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი, როგორცაა განათლების გავრცელება ან „ერის კონსოლიდაცია“. მართლმადიდებლობას ისტორიის კურსში თითქმის არ აქვს პოლიტიკური განზომილება, მაშინ, როდესაც, მაგალითად, გრეგორიანობა მიჩნეულია პოლიტიკურად განპირობებულ არჩევნად.

გარდა იმისა, რომ მართლმადიდებლობა წარმოჩენილია როგორც ისტორიულად უფრო კეთილშობილური, ის იდეურად და იდეოლოგიურად უპირატესიც არის, რაც, ზოგ შემთხვევაში, ექსპლიციტურად (ღიად) არის გამოხატული. მაგალითად, ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „ამ ნაწარმოებებით ქართულმა აგიოგრაფიამ მხატვრული ფორმითა და ხერხებით წარმოაჩინა

¹ საჯარო სკოლების ისტორიის სახელმძღვანელოების დისკურსის ანალიზი. ევროკავშირის მიმდინარე პროექტი Study of Relationship of Different Socio-Cultural Parameters, Education and Violent Extremism in Youth, რომელსაც ახორციელებს სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. 2017 წ.

ქრისტიანული რწმენის იდეური უპირატესობა დამპყრობთა (მაზდეანობა, ისლამი) სარწმუნოებაზე“.²

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით, 2016 წელს ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რამდენად აისახება სასკოლო სახელმძღვანელოებში რელიგიური, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება; ხომ არ წახალისებს სასწავლო მასალა რაიმე სახის შეუწყნარებლობას სხვადასხვა ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფისადმი.³ სულ გამოკვლევულ იქნა 16 ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის ინტერესების რეპრეზენტაციის დარღვევის თავისებურებები. აღნიშნული კვლევისთვის შეირჩა მე-9-მე-11 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო. მათი შინაარსობრივი ანალიზი განხორციელდა შეუწყნარებლობისა და ტოლერანტობის წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა მიკერძოებული დამოკიდებულება მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ. ეს ჩანს თუნდაც სახელმძღვანელოების ყდების დიზაინში: ისტორიის მე-9 და მე-11 კლასების სახელმძღვანელოების („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“) ყდებზე გამოსახულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები – მე-9 კლასის სახელმძღვანელოზე გარე ხედით, ხოლო მე-11 კლასის სახელმძღვანელოზე შიდა ხედით. მიკერძოება იგრძნობა სახელმძღვანელოების შინაარსობრივ ნაწილშიც: *„ნიკეის საეკლესიო კრებამ, პირველ რიგში, ქრისტიანული რწმენის სიმბოლო განსაზღვრა, რომელიც დღემდე უცვლელია მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ძე ღმერთი და სულიწმინდა დამოუკიდებელი და თანაბარი საწყისებია და არსებობენ ერთობაში. ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ ღმერთს სამება ერთარსებას. მამა ღმერთი არის საწყისი მისგან იშვა ძე და სულიწმინდა“*.⁴

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები გაჟღენთილია ისეთი არატოლერანტული დისკურსებით, როგორიცაა: ქსენოფობია,

²ასათიანი, ნ., ლორთქიფანიძე, მ., ლომაშვილი, ფ., მეტრეველი, რ., ოთხმეზური, გ. საქართველოს ისტორია. მე-9 კლასი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. გვ. 127

³ მინდიაშვილი, ბ. გახელაძე, გ. თაბორიძე, ი. (2016). რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვა სასკოლო სახელმძღვანელოებში. თბილისი: ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

⁴კილურაძე, ნ. სანიკიძე, გ. გორდეზიანი, ლ. ფირცხალავა, ლ. გაჩეჩილაძე, რ. ასათიანი, ნ. (2007). საქართველოს ისტორია. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. გვ.154

ეთნოცენტრიზმი, სტერეოტიპიზაცია, რელიგიისა და ეთნოსის გაიგივება, სტიგმატიზაცია ეთნიკურ ან რელიგიურ საფუძველზე, განსხვავებული იდენტობის დაფარვა, ანუ პერსონაჟების გამოტოვება, მცდარი ტერმინოლოგია, ანუ ის სახელდებები, რომლებითაც არადომინანტური რელიგიების წარმომადგენლები არ აღწერენ საკუთარ თავს. ეს დისკურსები, საბოლოო ჯამში, ემპირიაში „გადადის“ და რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების მიმართ დევიაციურ პრაქტიკაში რეალიზდება.

სასკოლო სახელმძღვანელოებში გამოვლენილი რელიგიური შეუწყნარებლობა და მიკერძოებულობა აისახა აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში, რომელშიც ვკითხულობთ: „პრობლემატურია სასკოლო საჯარო განათლების შინაარსიც, სხვადასხვა კლასისა და საგნის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში გამოვლენილია რელიგიური და სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის, ქსენოფობიის, მიკერძოების შემცველი ტექსტებისა და სარედაქციო კომენტარების კონკრეტული შემთხვევები“.⁵

კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ყურადღებას იმსახურებს, არის 2014 წელს განხორციელებული რელიგიურ გაერთიანებათა საჭიროების კვლევა საქართველოში.⁶ აღნიშნული კვლევა ეყრდნობა 33 რელიგიური გაერთიანების 70-მდე წარმომადგენლთან ჩატარებულ ინტერვიუებს. აღნიშნული კვლევაც აჩვენებს, რომ სასწავლო დაწესებულებებში რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები განიცდიან დისკრიმინაციას. დისკრიმინაციულ პრაქტიკაში ერთვებიან არა მხოლოდ მოსწავლეები და მათი მშობლები, არამედ მასწავლებლებიც. გამოკითხული რესპონდენტების თქმით, საჯარო სკოლებში ერთ-ერთი პრობლემური საკითხია მართლმადიდებლური რელიგიური რიტუალების, მაგალითად, მართლმადიდებლური წესით კოლექტიური ლოცვის, ინკორპორირება, რომელშიც ძალაუფლებურად ან იძულების წესით რელიგიური უმცირესობებიც მონაწილეობენ.

საჯარო სკოლების რელიგიური ინდოქტრინაციის შესახებ მკაფიოდ მიუთითებს „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) მიერ 2014 წელს ჩატარებული კვლევა. სასკოლო სახელმძღვანელოების დისკურსის ანალიზის

⁵საქართველოს სახალხო დამცველი. (2016). საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ. თბილისი. გვ. 415

⁶ ჩხეიძე, ზ. (2014). რელიგიურ გაერთიანებათა საჭიროების კვლევა საქართველოში. თბილისი: ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

ძირითადი მიგნება ისაა, რომ კვლავ პრობლემატურად რჩება, მოსწავლეებს მიეწოდებოდეს დაბალანსებული, ნაციონალური და რელიგიური უპირატესობებისგან დაცლილი და რაციონალიზებული ინფორმაცია; სახელმძღვანელოებში არასაკმარისი ინფორმაციაა სხვადასხვა რელიგიურ დენომინაციებზე და ისინი ძირითადად უარყოფით კონტექსტშია წარმოჩენილი.

EMC-ის კვლევის ფარგლებში თბილისის რვა საჯარო სკოლაში ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფების გამოკითხვამ: *„მასწავლებელთა დამოკიდებულებებში შეუწყნარებლობისა და განსხვავებულის მიმართ მიუღებლობის ტენდენციები აჩვენა, რაც სასწავლო პროცესის დროს პროზელიტიზმის, ინდოქტრინაციისა და დისკრიმინაციული მიდგომების არსებობის მაღალ რისკებზე უთითებს და ადასტურებს კიდევ ამ მიდგომების თანმიმდევრულ გამოვლინებებს“.*⁷

⁷ ღვინიაძე, ლ., ბარქაია, მ., (2014). რელიგია საჯარო სკოლებში (განათლების პოლიტიკის ანალიზი რელიგიის თავისუფლების პერსპექტივიდან). ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). გვ. 11

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საჯარო სკოლებში, რომლებშიც რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები (მუსლიმანი ქართველები) სწავლობენ ან ასწავლიან, რელიგიური ინდოქტრინაციის და მისი ფსიქოსოციალური და კულტურული შედეგების შესწავლა, გურიის რეგიონის, კერძოდ, ოზურგეთის რაიონის სკოლების მაგალითზე.

ჩატარდა თვისებრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფების მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, რომ პრობლემა შესწავლილ იქნეს სამიზნე ჯგუფის მონაწილეებთან ჯგუფური დისკუსიის საფუძველზე.

სულ ჩატარდა შეხვედრები 15 ფოკუს-ჯგუფთან.

კვლევის ინსტრუმენტი იყო არასტრუქტურირებული გზამკვლევი, რომელიც შედგებოდა ღია შეკითხვებისგან.

აღნიშნული ტიპის შეხვედრები ჩატარდა შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან:

- განათლების ექსპერტები (როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები)
- გურიის საჯარო სკოლების დირექტორები და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები
- ეთნიკურად ქართველი მუსლიმანი მოსწავლეები (მე-9-მე-12 კლასები)
- ეთნიკურად ქართველი მუსლიმანი მასწავლებლები
- ეთნიკურად ქართველი მუსლიმანი მშობლები
- ეთნიკურად ქართველი ქრისტიანი მოსწავლეები (მე-9-მე-12 კლასები)
- ეთნიკურად ქართველი ქრისტიანი მასწავლებლები
- ეთნიკურად ქართველი ქრისტიანი მშობლები

თითოეული ფოკუს-ჯგუფი შედგებოდა საშუალოდ 8 მონაწილისგან და მასთან შეხვედრა გრძელდებოდა საშუალოდ 1,5 საათს. ჯგუფური დისკუსიები წარმართა თითოეული ზემოაღნიშნული სამიზნე ჯგუფისთვის მომზადებული სახელმძღვანელო კითხვარების (guidelines) მიხედვით. ფოკუს-ჯგუფებში წარმართული დისკუსიები ჩაიწერა აუდიო- და ვიდეოფორმებზე. თუმცა, დაცულია

კონფიდენციალობის პრინციპი, რაც გულისხმობს იმის გარანტიას, რომ, პირველ ყოვლისა, ჩანაწერები არ მოხვდება საჯარო სივრცეში; ხოლო, მეორე მხრივ, ანალიტიკურ ანგარიშში არ აღინიშნება მონაწილეთა არც ერთი ის სოციალური თუ დემოგრაფიული მახასიათებელი, რაც ფოკუს-ჯგუფების კონკრეტულ მონაწილეთა იდენტიფიცირებას მოახდენს.

მომზადდა ფოკუს-ჯგუფების ტრანსკრიპტები, რომლებიც გაანალიზდა სხვადასხვა ფაზად, როგორცაა: დაჯგუფება, ტიპოლოგიზაცია, ცოდნის ანალიზი და თეორიული მოდელ(ებ)ის აგება.

კვლევის ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები

არსებული ვითარება:

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი განათლების შესახებ, ისევე, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმა, საჯარო სკოლებს რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვას ავალდებულებს, ეს უფრო დეკლარირებული პრინციპია, რომელიც, არცთუ იშვიათად, რეალობას არ შეესაბამება:

- სასკოლო ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი სანქცირებულია რელიგიური ინსტიტუტების (როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის, აგრეთვე, მუსლიმანური მეჩეთის) გავლენით; მეტიც: როდესაც საკითხი ალტერნატივებს შორის არჩევანზე მიდგება, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნაწილი (ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც) სამოქალაქო ვალდებულებას იოლად ანაცვლებს რელიგიური ვალდებულებით (მაგალითად, გავრცელებული პრაქტიკაა სკოლის გაცდენა რელიგიური დღესასწაულების გამო);
- ზოგიერთ საჯარო სკოლაში შეხვედებით ე.წ. „რელიგიურ კუთხეებს“, ძირითადად, მართლმადიდებლური ატრიბუტიკით;
- არცთუ იშვიათად, მასწავლებლები სასკოლო გარემოში ასრულებენ რელიგიურ (ძირითადად, მართლმადიდებლურ) რიტუალებს და შემოაქვთ სხვადასხვა სახის რელიგიური აკრძალვა როგორც თავისთვის, ისე სასკოლო სივრცის სხვა აქტორებისთვის (მოსწავლეების ჩათვლით);
- არის ფაქტები, როდესაც მართლმადიდებლური სარწმუნოების მასწავლებლები (ზოგჯერ ცნობიერი განზრახვის გარეშე) ვერბალურად ზემოქმედებენ (ანუ ახორციელებენ ფსიქოლოგიურ ძალადობას) მუსლიმან მოსწავლეებზე, რათა ისინი გაქრისტიანდნენ. იშვიათად ხდება მუსლიმ მოსწავლეებზე ფიზიკურ ძალადობაც მართლმადიდებელ მასწავლებელთა მხრიდან, რომლებიც მოსწავლეებს ქრისტიანული ატრიბუტიკის (მაგალითად, ხატების) უპატივცემულობაში სდებენ ბრალს.
- ისეთი საგნები, როგორიცაა საქართველოს ისტორია და ქართული ლიტერატურა, ხშირად ისწავლება მკვეთრად მართლმადიდებლურ-ნაციონალისტური იდეოლოგიის შუქზე, ეთნოცენტრისტული პერსპექტივით,

იმაზე აქცენტირებით, რომ მართლმადიდებლური კულტურა უპირატესია და ისტორიისა და ცხოვრების სანიმუშო მოდელს წარმოადგენს.

საჯარო სკოლების რელიგიური ინდოქტრინაციის მიზეზები:

1. რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვაზე კონტროლის მექანიზმები არაეფექტურია; გენერალური ინსპექციის ინსტიტუტი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებზე რეაგირებს.

2. ზოგიერთი მართლმადიდებელი მშობლისგან მოდის „დაკვეთა“ სკოლებში ე.წ. „რელიგიური კუთხეების“ გახსნაზე; ასეთი მშობლები წუხან იმაზე, რომ მოსწავლეებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, ილოცონ სკოლაში.

3. რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვას ხელს უშლის სწავლების მოძველებული – ეთნოცენტრისტული – მეთოდოლოგია: მასწავლებლები (მაგალითად, ქართული ლიტერატურის) ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებს იმ პოზიციიდან ასწავლიან, რომ მართლმადიდებლობა ცხოვრებისა და აზროვნების სანიმუშო წესს ამკვიდრებს. ეს დამოკიდებულება მასწავლებლებმა პოსტსაბჭოთა საქართველოს პირველ ათწლეულში ნაციონალისტურ ტალღაზე გამოიმუშავეს და გარკვეული ნაწილი დღესაც ამ ხაზს მიჰყვება.

4. მნიშვნელოვანი ფაქტორია მასწავლებელთა ღირებულებითი ორიენტაცია, მათი სოციოკულტურული პროფილი, რომელშიც ეკლესიის მრევლის წევრობა წამყვანია. ქართული ლიტერატურის ბევრი მასწავლებელი თავად არის დარწმუნებული იმაში, რომ აბო თბილელი გმირია, რადგან მან ქრისტიანობისთვის გაწირა თავი და თავისი რელიგია უარყო.

5. გასათვალისწინებელია როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის, ისე მუსლიმანი სასულიერო პირების სკოლაზე გავლენის ფაქტორი:

- მასწავლებელთა მნიშვნელოვან რაოდენობას აქვს იმის პრეტენზია, რომ მრევლია და ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს. ქადაგებების ან სასულიერო პირებთან ინდივიდუალური საუბრების ფარგლებში განიხილება სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული თემები, ხოლო რელიგიური სულისკვეთება მასწავლებლებს გადააქვთ სასკოლო პრაქტიკაში;
- სასულიერო პირებს იწვევენ სკოლებში და აძლევენ შესაძლებლობას, რომ შემეცნებითი ხასიათის გაკვეთილები კი არ ჩაატარონ, არამედ იქადაგონ.

ზოგჯერ ეს ხდება სასულიერო პირების მხრიდან სკოლის ადმინისტრაციაზე ზეწოლის შედეგად.

რელიგიური ინდოქტრინაციის სოციალურ-კულტურული შედეგები:

1. მართლმადიდებლური რელიგიურობით განპირობებული სასკოლო ცხოვრება გარკვეულ შემთხვევებში წაახალისებს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების მარგინალიზაციას, სტიგმატიზაციას და გარიყვას. ეთნიკურად ქართველ მუსლიმან მოსწავლეებსა და მასწავლებლებს „თათრებს“ ემახიან და ის, რომ ისინი მუსლიმანები არიან, მიიჩნევა მათ ნაკლად.

2. მუსლიმანი მოსწავლეების მიმართ მიუღებლობის და აგრესიის ხარისხი მატულობს მაშინ, როდესაც ისინი რელიგიურ რიტუალებს ასრულებენ, ანუ, როდესაც მათი რელიგიურობის აქტუალიზაცია ხდება. ამ შემთხვევაში შემამსუბუქებელ გარემოებას არ წარმოადგენს ის, რელიგიურობის აქტუალიზაცია სასკოლო სივრცეში ხდება თუ სასკოლო სივრცის გარეთ.

სკოლის ქრისტიანი პერსონალის თვით ის ნაწილი, რომელიც ტოლერანტულადაა განწყობილი, ზოგადად, მუსლიმანური თემის (მათ შორის, მოსწავლეების) მიმართ, ცნობიერებაში ლატენტურად „ინახავს“ და იზიარებს სტიგმებს.

3. სკოლებში, რომლებშიც ქართველი მუსლიმანები სწავლობენ, ზოგიერთი მასწავლებელი აცნობიერებს ამა თუ იმ ნაწარმოების (მაგალითად, „აზო თბილელის წამება“) პრობლემურობას, თუმცა მასალის მიწოდების მეთოდიკას კი არ ცვლის, არამედ საერთოდ უარს ამბობს ამ ნაწარმოების სწავლებაზე.

4. ეთნიკურად ქართველი მუსლიმანი მოსწავლეების მიმართ არსებობს სტიგმა, რომ ეს მოსწავლეები ფიზიკური შრომისთვის არიან გაჩენილი და არა უფრო მაღალი აკადემიური მიღწევებისთვის თუ კარიერული მიზნებისთვის. ეს კარგად ჩანს, როცა საქმე ეხება მოსწავლეთა შრომითი მიგრაციის საკითხს: სკოლის ადმინისტრაცია ხელს უწყობს მიგრაციას შემდეგი „ლოგიკით“: „მაინც არ სწავლობს და წავიდეს, იშრომოს, ოჯახს მიეხმაროს“. მიუხედავად ამ სტიგმისა, კვლევამ გამოავლინა, რომ მუსლიმანი მოსწავლეების დიდი ნაწილი მომავლის პერსპექტივად უმაღლესი განათლების მიღებას განიხილავს.

5. ხდება მუსლიმანი ქართველების პოზიტიური დისკრიმინაცია. კერძოდ, მათ მიაწერენ, რომ ისინი არიან შრომისმოყვარე, ბეჯითი ადამიანები, შესაბამისად, გაცილებით შეძლებულად ცხოვრობენ.

6. მუსლიმანი სასულიერო პირების გავლენით, მუსლიმანი მოსწავლე გოგონები უფრო ადრე ტოვებენ საშუალო სკოლას, ვიდრე ვაჟები. შესაბამისად, სრულ საშუალო განათლებას გოგონების შედარებით ნაკლები პროცენტი იღებს და ეს პრაქტიკა წახალისებელია მუსლიმანი მოსწავლე გოგონების მშობელთა მხრიდან.

7. მუსლიმანი მოსწავლეების მიმართ ფსიქოლოგიური პრესის გამო (რათა მათ მონაწილეობა მიიღონ მართლმადიდებლურ პრაქტიკაში, შეიცვალონ სარწმუნოება და ა.შ.) ზოგჯერ ხდება სასკოლო სივრცეში დამაბული ატმოსფეროს (ზოგჯერ, კონფლიქტის) პროვოცირებაც ქრისტიან მასწავლებლებსა და მუსლიმან მოსწავლეებს, ან თავად სხვადასხვა აღმსარებლობის მოსწავლეებს შორის.

8. მუსლიმანი ქართველები ხშირად ილტვიან მედრესეებისკენ, სადაც მათზე ზრუნავენ. საჯარო სკოლების მუსლიმანი მოსწავლეების დიდი ნაწილი სკოლისგან თავისუფალ დროს რელიგიურ სკოლა-პანსიონებში დადის.

9. მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველების ურთიერთობაზე გავლენას ახდენს თანაცხოვრების ხანდაზმულობა. იმ თემებში, სადაც ქართველი მუსლიმანებისა და ქრისტიანების ბევრ თაობას აქვს თანაცხოვრების გამოცდილება, ურთიერთნდობისა და სიახლოვის ხარისხი მნიშვნელოვნად მაღალია, რაც არ ითქმის აჭარიდან ბოლო რამდენიმე წელიწადში ჩამოსახლებულ მუსლიმანური ოჯახებისა და ადგილობრივი თემების ურთიერთობის შესახებ. მეტიც: მიიჩნევა, რომ აჭარიდან ბოლო ხანს ჩამოსახლებული მუსლიმანი ქართველები „თურქების მიერ მართვადი“ და „მათი ინტერესების გამტარებელი“ ჯგუფია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მუსლიმანი ქართველების „უცხოებად“ მიჩნევის ტენდენციას. მსგავსი დამოკიდებულება აქტუალურია არა მხოლოდ თემში, არამედ სკოლაშიც, რაც ხელს უშლის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნას, როგორც ქრისტიანი, ისევე მუსლიმი მოსწავლეებისთვის.

10. საჯარო სკოლების ზოგიერთი ქრისტიანი მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი საუბრობს გურიაში აჭარიდან ახალგადადმოსახლებული მუსლიმანი

მოსახლეობის პრივილეგირებულ მდგომარეობაზე ადგილობრივ (გურულ) მოსახლეობასთან შედარებით; მათი მტკიცებით, ეს პრივილეგირებულობა ვლინდება ასევე საგანმანათლებლო ინსტიტუტების (სკოლები, მედრესეები) ინფრასტრუქტურულ გამართულობაში. ეს სწორედ ე.წ. „მესამე ძალის“ ჩარევას მიეწერება, კერძოდ, თურქეთის გავლენიანი წრეების სურვილს, რომ ინსტიტუციურად გაძლიერდეს თურქეთის გავლენა რეგიონში და შეიქმნას იდეოლოგიურად ისლამისტური საგანმანათლებლო კერები.

11. რელიგიური განსხვავებების გამო გათიშულობა და გაუცხოება სუსტდება ახალგაზრდა თაობაში. ახალგაზრდებში ეროვნული იდენტობის განცდა აღემატება რელიგიური იდენტობის განცდას.

რეკომენდაციები სასკოლო ცხოვრებაში რელიგიური ინტერვენციის პრევენციისთვის
(რეკომენდაციები შემუშავდა ფოკუს-ჯგუფზე, რომელშიც მონაწილეობდნენ გურიის საჯარო სკოლის დირექტორები და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები)

1. საჭიროა სწავლების მეთოდოლოგიის შეცვლა, როდესაც საქმე ქართულ ლიტერატურას და საქართველოს ისტორიას ეხება: რელიგიური თვალსაზრისით მგრძნობიარე მხატვრული ნაწარმოების სწავლებისას აქცენტი უნდა დაისვას არა სიუჟეტზე და ისტორიულ ნარატივზე, არამედ მხატვრული გამოხატვის ხერხებზე, ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეზე. აგრეთვე, საჯარო სკოლებში რელიგიის ისტორია მარტო მართლმადიდებლობის სწავლებას კი არ უნდა მოიცავდეს, არამედ ყველა ძირითადი რელიგიის ისტორიისა.

2. მიზანშეწონილია სასწავლო პროგრამების რევიზია, კერძოდ, ქართული ლიტერატურის სასწავლო პროგრამა უნდა გაძლიერდეს სხვა კულტურების მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით.

3. სკოლებს უნდა მიეცეს ავტონომიურობის უფრო მაღალი ხარისხი; მათ თავად უნდა განსაზღვრონ საკუთარი საჭიროებები და მოითხოვონ დახმარება. შესაბამისად, რელიგიური თვალსაზრისით შერეულ სკოლას უნდა მიეცეს სასწავლო პროგრამის მოდიფიცირების უფრო მეტი შესაძლებლობები.

4. საჭიროა, ჩატარდეს მასწავლებელთა გადამამზადებელი ტრენინგები, როგორცაა, მაგალითად, მრავალფეროვნების მართვა. მსგავსი აქტივობები მნიშვნელოვანია, რადგან მასწავლებელმა უნდა შეძლოს მრავალფეროვანი კლასის მართვაც და კვალიფიკაციის ამაღლებაც.

5. საჭიროა სასკოლო სივრცეში (ან მის გარეთ) ღია დისკუსიების წარმართვა, რომლებშიც ჩაერთვება ყველა დაინტერესებული მხარე; აგრეთვე, ნებისმიერი უთანხმოების ან დამაბულობის დიალოგის რეჟიმში გადატანა, რაც კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია.

6. საჭიროა, გაძლიერდეს გაცვლითი სოციალური პროგრამები, როგორცაა, მაგალითად, მოსწავლეების მობილობა ერთი რეგიონის ოჯახებიდან სხვა რეგიონების ოჯახებში. ეს ხელს შეუწყობს მოზარდების ადაპტაციას მათგან განსხვავებულ ცხოვრების წესთან და შეხედულებებთან.

7. უნდა გაიზარდოს ინტენსიურობის ხარისხი მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკებისა, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა აღმსარებლობის, ეროვნების, ფიზიკური მდგომარეობის და ა.შ. ახალგაზრდები.

1. სამართლებრივი ასპექტი

ზოგადი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულია, რომ საშუალო განათლება უნდა იყოს აპოლიტიკური (დეიდეოლოგიზებული). ამაში იგულისხმება ისიც, რომ საშუალო განათლების (სწავლა-სწავლების) სერვისს რელიგიური დატვირთვა არ უნდა ჰქონდეს. აღნიშნული კანონის მე-13 მუხლი („ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა“) გვეუბნება: *„დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება“*.⁸

ზოგადი განათლების შესახებ კანონის გარდა, მნიშვნელოვანი დოკუმენტია ეროვნული სასწავლო გეგმა (რომლითაც ხელმძღვანელობს ყველა სკოლის სასწავლო პროგრამა), რომელშიც მკაფიოდ განსაზღვრულია, რომ *„მოსწავლეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მან უნდა შეძლოს, გააანალიზოს წარსულისა და თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ისტორიული თუ გეოგრაფიული მოვლენები და სხვადასხვა ეპოქებისა და საზოგადოებების განვითარების მსგავსება-განსხვავებები“*.⁹

იმავე პრინციპებს იმეორებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული მეორე სასწავლო გეგმა, რომელიც დღეს მოქმედი დოკუმენტია და, ამდენად, განათლების არსებულ პოლიტიკას განსაზღვრავს.

თუმცა, როგორც ჯგუფურ დისკუსიებზე ექსპერტებმა აღნიშნეს, ეროვნული სასწავლო გეგმის ოპერაციული პრაქტიკა ყოველთვის არ შეესაბამებოდა რელიგიური ნეიტრალურობის მოთხოვნას. ექსპერტების მოსაზრებით, ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე სახელმძღვანელოების შემუშავების ისტორიამ გაიარა რამდენიმე საფეხური და ეს, გარკვეულწილად, იყო სვლა უკან:

1. ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი ვარიანტის (2006-11 წწ.) მიხედვით, მოქმედებდა შემდეგი პრაქტიკა: 100 საპილოტე სკოლაში ერთი წლის მანძილზე

⁸ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“

გამოიცდებოდა 6 ნაწილად დაყოფილი სახელმძღვანელოები. შესაბამისად, განათლების ექსპერტებს ჰქონდათ დრო, რომ ემუშავათ სახელმძღვანელოების ავტორებთან; ტრენერები ამყარებდნენ უკუკავშირს საპილოტე სკოლებთან. ამდენად, ნაკლები იყო შანსი, რომ შინაარსობრივად გაპარულიყო რაიმე (ამ შემთხვევაში, რელიგიურად სენსიტიური) თემა. გამოჩნდნენ ავტორები, რომლებიც გამოიწვრთნენ სახელმძღვანელოების ტექსტების წერაში, ისწავლეს სასწავლო გეგმის სწორად წაკითხვა და, ზოგადად, მუშაობა ამ ბაზარზე.

2. მეორე ვარიანტი (2011-16 წწ.): ამ წლებში ზემოაღნიშნული პრაქტიკა შეიცვალა - სახელმძღვანელოების გრიფირება ხდება კონკურსის წესით. ყველას აქვს უფლება, საკონკურსოდ შემოიტანოს სახელმძღვანელო, რომელსაც აფასებენ ექსპერტები. ექსპერტს აქვს მცირე დრო (საშუალოდ, ერთი კვირა) სახელმძღვანელოს შესაფასებლად, რაც სრულიად არაა საკმარისი ობიექტური შეფასებისთვის. ამიტომ ექსპერტს შეიძლება გამოეპაროს მნიშვნელოვანი დეტალები. ექსპერტი და სახელმძღვანელოს ავტორი გაიმიჯნენ, მათ აღარ აქვთ ერთმანეთთან თანამშრომლობის შესაძლებლობა, ანუ, პრაქტიკულად, აღარ არსებობს სახელმძღვანელოების დახვეწის (სრულყოფის) შესაძლებლობა. ეს ასუსტებს სახელმძღვანელოების შინაარსობრივ მონიტორინგს რელიგიური ნეიტრალიზაციის კუთხით.

3. ამჟამად ეროვნული სასწავლო გეგმის მესამე რედაქცია მიმდინარეობს. ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორი იქნება ეს პროცესი. აუცილებელია, რომ სახელმძღვანელოს ავტორებთან ექსპერტების კავშირი და მჭიდრო თანამშრომლობა აღდგეს.

„მე შემიძლია ვთქვა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების პირველ ეტაპზე უფრო ვუყურებდით ამ ყველაფერს [ნეიტრალიტეტს რელიგიური თვალსაზრისით]; მეორე ეტაპის სახელმძღვანელოებზე მე თავს ვერ დავდებ“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მაღალი რგოლის თანამშრომელი).

2. არის თუ არა სასკოლო ცხოვრება რელიგიურად ნეიტრალური?

როგორც ვნახეთ, **ზოგადი განათლების შესახებ კანონი** ავალდებულებს სკოლას, რომ ის თავისუფალი იყოს რელიგიური პროზელიტიზმისგან. სკოლებმა არ უნდა გამოიყენონ რელიგიური ატრიბუტიკა. კანონის ეს მოთხოვნა გადადის სკოლის წესდებაში, შინაგანაწესში; ანუ, ფორმალურად, რელიგიური ნეიტრალიტეტის საკითხი სკოლებში გადაწყვეტილია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა სკოლებს რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვას ავალდებულებს, ექსპერტების აზრით, ეს უფრო **დეკლარირებული** პრინციპია, რეალობა კი სხვაგვარია.

რა აჩვენებს ამას?

1. სასკოლო ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი სანქცირებულია რელიგიური ინსტიტუტების (მართლმადიდებლური ეკლესია, მეჩეთი) გავლენით; მეტიც: როდესაც საკითხი ალტერნატივებს შორის არჩევანზე მიდგება, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნაწილი სამოქალაქო ვალდებულებას იოლად ანაცვლებს რელიგიური ვალდებულებით. მაგალითად, როგორც მასწავლებელმა, ისე მოსწავლემ (ქრისტიანმაც და მუსლიმანმაც), შეიძლება სკოლაში დააგვიანონ, ან გაკვეთილი გააცდინონ იმ მიზეზით, რომ შესასრულებელი აქვთ რომელიმე მართლმადიდებლური ან მუსლიმანური რელიგიური რიტუალი (ლოცვა, აღსარება, ზიარება და ა.შ.). ეს ნიშნავს, რომ საერო ცხოვრება (რომლის ნაწილიცაა სასკოლო ცხოვრება) მეორადია როგორც ღირებულებრივად, ისე ემპირიულად, და ემორჩილება სასულიერო (რელიგიური) ცხოვრების სტანდარტებს.

„როდესაც მუსლიმანი მოსწავლეები ლოცვაზე წასვლას ითხოვენ, მასწავლებელმა ისინი შეიძლება ბოლო გაკვეთილიდან გაათავისუფლოს... დღესასწაულებზე მუსლიმან ბავშვებს გაცდენებს არ უთვლიან არასაკმატოდ მასწავლებლები“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).

2. არცთუ იშვიათად, საჯარო სკოლაში ჯერ კიდევ მოწყობილია ე.წ. „რელიგიური კუთხეები“, ძირითადად, მართლმადიდებლური ატრიბუტიკით (ბიბლია, ლოცვები, ხატები, სანთლები და ა.შ.);

3. მართლმადიდებელი მასწავლებლები, სასკოლო გარემოში, ასრულებენ რელიგიურ რიტუალებს (მაგალითად, ლოცულობენ გაკვეთილის დაწყებამდე) და შემოაქვთ სხვადასხვა სახის რელიგიური აკრძალვა როგორც თავისთვის („კურთხევა არ მიმიღია, რომ ვასწავლო“), ისე სასკოლო სივრცის სხვა აქტორებისთვის (მოსწავლეების ჩათვლით).

4. არცთუ იშვიათად, მართლმადიდებლური სარწმუნოების მასწავლებლები (შესაძლოა, ცნობიერი განზრახვის გარეშე) ახდენენ **ვერბალურ ზემოქმედებას** მუსლიმან მოსწავლეებზე, რათა ისინი გაქრისტიანდნენ. რაც არ უნდა „რბილი“ ფორმით ხდებოდეს ასეთი ზემოქმედება, ის მაინც ფსიქოლოგიურ ძალადობად ჩაითვლება. იშვიათ შემთხვევებში, სასკოლო სივრცეში ვაწყდებით კიდევ უფრო მძიმე პრაქტიკას – **ფიზიკურ ძალადობას** (შეურაცხყოფას) – მასწავლებლები მუსლიმან მოსწავლეებს სჯიან იმის გამო, რომ ისინი მართლმადიდებლური რელიგიური ატრიბუტიკის (მაგალითად, ხატების) მიმართ სათანადო პატივისცემას არ იჩენენ (თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ასეთი ექსტრემალური შემთხვევები ძალზე იშვიათად ხდება და ისინი თავად მორწმუნე ქრისტიანი მასწავლებლების მხრიდანაც მკვეთრად ნეგატიურ შეფასებას იმსახურებს).

„ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებელმა, როცა ის მურვან ყრუს შემოსევებს ხსნიდა, ააყენა მისი მუსლიმანი მოსწავლე და მთელი კლასის წინაშე ბოდიში მოახდევინა...“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი).

„ოთხი წლის წინ ბავშვი ატირებული მოვიდა სახლში. რომელ გაკვეთილზე იყო, არ ვიტყვი. დღეს შემოიტანეს ხატი კლასში და ყველას უნდა დაგვეჩოქა და გვეკოცნა ხატისთვისო. მე არ დავიჩოქეო. ამის გამო მასწავლებელმა გამლახაო. ვერ ვხვდები, რატომ უნდა მომხდარიყო ასე. ყველა სარწმუნოებას პატივს ვცემ. მაგრამ რატომ უნდა ვაიძულო თქვენი შვილი, რომ ჩემს სარწმუნოებას დაუჩოქოს?“ (მუსლიმანი მშობელი).

5. ზოგიერთი საგანი (განსაკუთრებით, საქართველოს ისტორია და ქართული ლიტერატურა) ისწავლება მკვეთრად მართლმადიდებლურ-ნაციონალისტური იდეოლოგიის შუქზე, ეთნოცენტრისტული პერსპექტივით, ანუ იმაზე აქცენტირებით, რომ მართლმადიდებლური რწმენა (კულტურა) უპირატესია და ისტორიის და

ცხოვრების სანიმუშო მოდელს წარაადგენს („ბრძოლებში ერთ ქართველზე 10 მუსლიმანი მოდიოდა და ამ უთანასწორო ბრძოლაში ქართველი იმარჯვებდა ქრისტეს სახელით“).

გარდა ამისა, სასწავლო სახელმძღვანელოებში (შესაბამისად, პროგრამებში) შეტანილია ისეთი ნიმუშები, რომელთაც გამოკვეთილად ქრისტიანულ-მართლმადიდებლური (როგორც დენოტაციური, ისე კონოტაციური) მნიშვნელობა აქვთ. შესაბამისად, ასეთი ნიმუშების მიმართ სკოლის მუსლიმანი კონტინგენტის გაუცხოების რისკი მაღალია. ერთ-ერთ ასეთ ნიმუშად ფოკუს-ჯგუფებში დასახელდა ილია ჭავჭავაძის ლექსი „ლოცვა“, რომლის ჩართვასაც ქართული ლიტერატურის პროგრამაში ზოგიერთი მუსლიმანი მშობელი აპროტესტებს და უკრძალავს შვილს, რომ ეს ლექსი ისწავლოს. მასწავლებლის უარყოფითი რეაქცია ამ პროტესტზე კი დამაბუღლობის პროვოცირებას ახდენს სასკოლო სივრცეში.

„გასულ წელს ჩემმა ბავშვმა „მამაო ჩვენო“ არ ისწავლა და იმაში დაუწერა მასწავლებელმა 9. შვიდი კლასის განმავლობაში ბავშვს არ ჰქონია 9, ყველა საგანში 10 ქულა ჰქონდა... ვიღაც ცალ თვალს გამოუღებს ასეთ მასწავლებელს და ისე დატოვებს, მე, უბრალოდ, შევიკავე თავი. სარწმუნოებაში არეულობა არ შეიძლება“ (მუსლიმანი მშობელი).

მეორე მხრივ, ფოკუს-ჯგუფებში გამოითქვა ის მოსაზრებაც, რომ ლიტერატურული ნაწარმოებები, თუნდაც გამოკვეთილად ქრისტიანული საზრისის მატარებელი, ხელოვნების ნიმუშებია და მათი დასწავლის მიმართ პროტესტი ქართული კულტურის მეინსტრიმული ხაზის უგულებელყოფა და უპატივცემულობაა.

ამასთან უკავშირდება ის, რომ საჯარო სკოლების ქრისტიან მასწავლებლებთან ფოკუს-ჯგუფში შეხვედრაზე წარმოჩნდა გარკვეული წინააღმდეგობები ქართული ლიტერატურისა და ისტორიის **სწავლების მეთოდოლოგიასთან** დაკავშირებით. მასწავლებელთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ისტორიის სწავლება მოსწავლეებში პატრიოტიზმის ღირებულების აღზრდას უნდა ემსახურობდეს და არ იყოს მხოლოდ „მშრალი“ ფაქტების გადაცემა მათთვის. ეს ნიშნავს, რომ, მათი აზრით, სწავლებას უნდა ჰქონდეს იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი ფუნქცია და წარმოაჩინოს ჩვენი ქვეყანა, როგორც ისტორიულად სანიმუშო. ამ პოზიციას დაუპირისპირდა ზოგიერთი მასწავლებელი – მათ აღნიშნეს, რომ ისტორია არის

მეცნიერება და პატრიოტიზმი არის ღირებულება; სკოლამ უნდა მისცეს ბავშვს განათლება, ხოლო ღირებულებების გადაცემა სხვა ინსტიტუტების პრეროგატივაა, როგორცაა ოჯახი, მედია და ა.შ. ისტორია სკოლებში უნდა ისწავლებოდეს, როგორც მეცნიერება; თუ ისტორიის სწავლებისას პატრიოტიზმზე გაკეთდება აქცენტი, ეს აუცილებლად გამოიწვევს ფაქტების დამახინჯებას. მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ პატრიოტიზმის სწავლება ისტორიის კონტექსტში არ არის მიზანშეწონილი; ეს უნდა მოხდეს სამოქალაქო ღირებულებების კონტექსტში:

„თუ მინდა, გავხდე გმირი, ამისთვის ველოდო ომს? ქუჩას ნუ დაანავგვიანებ, ქართულ ენას ნუ დაამახინჯებ. ესაა პატრიოტიზმი“ (ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელი).

6. ზემოთქმულის მიუხედავად, ოზურგეთის საჯარო სკოლების ქრისტიანი მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების დიდი ნაწილი საუბრობს თანამშრომლურ ურთიერთობებზე თავის მუსლიმან კოლეგებთან. ეს თანამშრომლობა იმაშიც გამოიხატება, რომ ითვალისწინებენ და პატივისცემით ეპყრობიან მათი რელიგიურობის თავისებურებებს. მაგალითად, ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორი ჰყვებოდა, როგორ გაითვალისწინა მუსლიმანი მასწავლებლის თხოვნა, არ ჩართულიყო სასკოლო არაფორმალურ ღონისძიებაში რამაზანის დღესასწაულის გამო:

„მუსლიმანი მასწავლებელი გვყავს ერთი, ძალიან კარგი პედაგოგია; რამაზანი ჰქონდა და მთხოვა, ექსკურსიაზე ახლა არ წამოვალთო, ვერ შევჭამთ ვერაფერსო, და გავუწიეთ ანგარიში, ჩავანაცვლეთ უპრობლემოდ“ (ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელი).

3. სასკოლო ცხოვრებაში რელიგიური ინტერვენციის მიზეზები

როგორც ითქვა, რელიგიური ნეიტრალიტეტის დეკლარირების მიღმა სასკოლო ცხოვრება, შინაარსობრივად, რელიგიურად მიკერძოებულია (აქ, პირველ რიგში, მართლმადიდებლური ნარატივებისა და პრაქტიკის გავლენა იგულისხმება).

რა არის ამის მიზეზები?

1. რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვაზე **კონტროლის მექანიზმები** არაეფექტურია; მართალია, არსებობს გენერალური ინსპექციის ინსტიტუტი, თუმცა, ის მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებზე/შეტყობინებებზე რეაგირებს.

2. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი მართლმადიდებელი მშობლისგან მოდის **„დაკვეთა“ სკოლებში ე.წ. „რელიგიური კუთხეების“** გახსნაზე: ზოგიერთი მშობელი იმაზე წუხს, რომ ბავშვებს არ ეძლევათ შესაძლებლობა, ილოცონ სკოლაში.

„მე, მაგალითად, ბებია მესტუმრა სკოლაში; ცოტა პრობლემურია მისი შვილიშვილი, ასაკიდან გამომდინარე, და მეუბნება, პრობლემური იქნება, აბა, რაო. რატომ-მეთქი და, შემოვიარე ახლა სკოლა და [რელიგიური] კუთხე არა გაქვთო, სანთელი არა გაქვთო, რომ დადგეს ბავშვი და ილოცოსო... მოაწყვეთ, ქალბატონო, კუთხე და უკეთესი მოსწავლეები გეყოლებათო“ (თბილისის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი).

„ჩემს სკოლაში იყო ქართულის მასწავლებელი, რომელიც ყველა გაკვეთილს იწყებდა ლოცვით; ჰყავდა 3 იაღოველი მოსწავლე და სანამ ამ ბავშვებს გავაცნობიერებდით იმაში, რომ ცოტა გვიან მოსულიყვნენ სკოლაში, ან მასწავლებელს დაეწყო ლოცვა ადრე, დედამ ითქვა, რომ ექმნება პრობლემა, რადგან ბავშვი განიცდის ამას და ტირის.... ეს ახლაც პრობლემაა, იმიტომ რომ მასწავლებლები, განსაკუთრებით ძველი ქართულის მასწავლებლები, გაკვეთილს იწყებენ და ამთავრებენ ლოცვით, ვითომ ეს იყოს წმინდა ადგილი...“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი).

3. რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვას ხელს უშლის **სწავლების მოძველებული – ეთნოცენტრისტული – მეთოდოლოგია**: სკოლებში იმდენად რელიგიურად მიკერძოებული სახელმძღვანელოების პრობლემა კი არ დგას, არამედ იმისა, თუ

როგორ ასწავლიან პედაგოგები. სწავლების მეთოდოლოგიაშია პრობლემა და არა სახელმძღვანელოების შინაარსში. მასწავლებლები (მაგალითად, ქართული ლიტერატურის) ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებს ეთნოცენტრისტული პოზიციიდან ასწავლიან, რომლის თანახმადაც, მართლმადიდებლური სარწმუნოება ცხოვრებისა და აზროვნების სანიმუშო წესს ამკვიდრებს. ეს დამოკიდებულება მასწავლებლებმა პოსტაბჭოთა საქართველოს პირველ ათწლეულში ნაციონალისტურ ტალღაზე გამოიმუშავეს და დღესაც ამ ხაზს მიჰყვებიან.

„სახელმძღვანელოები, ფაქტობრივად, ნეიტრალურია, მაგრამ იმისათვის, რომ ეს თემები სხვა კუთხით არ წაიყვანონ, სწავლება მეთოდოლოგიურად ბევრად უფრო გამართული უნდა იყოს... სახელმძღვანელო უნდა გახდეს ბევრად უფრო ავტონომიური, სახელმძღვანელომ უნდა აიღოს ის ფუნქცია, რომ ასწავლოს მასწავლებელს, როგორ ჩაატაროს გაკვეთილი“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი).

„ეს ბავშვი [მუსლიმანი მოსწავლე] მეუბნება, იცით, რაო, აბო თქვენთვის არის გმირი, თორემ ჩემთვის ჩვეულებრივი მოლალატეაო... ასეთი ბავშვი ბევრია. ისინი ფიქრობენ, რომ აბო მოლალატეა. ეს ნიშნავს, რომ შესაცვლელი გაქვს რაღაც, სხვანაირად გაქვს დასაგეგმი სწავლება“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი).

4. მნიშვნელოვანი ფაქტორია მასწავლებელთა **ღირებულებითი ორიენტაცია**, მათი სოციალურ-კულტურული პროფილი, რომელშიც ეკლესიის მრევლის ან მეჩეთის წევრობა წამყვანია. ქართული ლიტერატურის ბევრი მასწავლებელი თავად არის დარწმუნებული იმაში, რომ აბო თბილელი გმირია, რადგან მან ქრისტიანობისთვის გაწირა თავი და თავისი რელიგია უარყო. ზუსტად ასევე, მეორე მხრივ, მუსლიმანი მასწავლებლებისთვის აბო თბილელი მოლალატეა, რადგან მუსლიმანურ სარწმუნოებას უღალატა. აშკარაა კონფლიქტი რელიგიურ ნიადაგზე, ღირებულებით ორიენტაციებს შორის.

„ყველა ნაწარმოებში მართლმადიდებლური რელიგიის პრინციპებს ეძებენ, ქრისტიანულ ხაზს მიჰყვებიან... არადა, ბევრ მასწავლებელს ავიწყდება, რომ მულტიკულტურულ გარემოში ცხოვრობს და აქცენტები განსხვავებულად უნდა დასვას“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი).

5. გასათვალისწინებელია როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის, ისე მუსლიმანი სასულიერო პირების სკოლაზე გავლენის ფაქტორი; ეს გავლენა გამოიხატება სხვადასხვა თვალსაზრისით:

- მასწავლებელთა მნიშვნელოვან რაოდენობას აქვს იმის პრეტენზია, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლია და ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს (რეგულარულად დადის ეკლესიაში, ჰყავს მოძღვარი, მარხულობს და ა.შ.). ეკლესიაში, ქადაგებების ან მოძღვრებთან ინდივიდუალური საუბრების ფარგლებში ხშირად განიხილება სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ამბები, რაც სასკოლო ცხოვრების რელიგიურობით გაჯერებისკენ არის მიმართული. არცთუ იშვიათად ეს რელიგიური სულისკვეთება მასწავლებლებს გადააქვთ თავიანთ სასკოლო პრაქტიკაში.
- სასულიერო პირებს იწვევენ სკოლებში და ამლევენ შესაძლებლობას, რომ შემეცნებითი ხასიათის გაკვეთილები კი არ ჩაატარონ, არამედ იქადაგონ. ზოგჯერ ამ მიწვევას ნებაყოფლობითი ხასიათი კი არ აქვს სკოლის მხრიდან, არამედ არის სასულიერო პირების მხრიდან ზეწოლის შედეგი.

„მე თვითონ საეკლესიო პირმა მითხრა, თუ არ მომიწვევ, პრობლემები შეგექმნება და [მოსწავლეთა და მასწავლებელთა] გადინება მოხდება სკოლიდანო“ (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გურიის სოფლიდან).

4. საჯარო სკოლებში რელიგიური ინდოქტრინიზაციის სოციალურ-კულტურული შედეგები

იმ სოციალურ-კულტურული შედეგებიდან, რომლებსაც საჯარო სკოლების რელიგიური ინდოქტრინიზაცია იწვევს, აღსანიშნავია შემდეგი:

1. რელიგიურად (მართლმადიდებლური რელიგიურობით) განპირობებული სასკოლო პრაქტიკა, პირველ რიგში, ხელს უწყობს (წახალისებს) რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების მარგინალიზაციასა და გარიყვას. ეთნიკურად ქართველ მუსლიმან მოსწავლეებსა და მასწავლებლებს „თათრებს“ ეძახიან, ზოგჯერ ქართველებადაც კი არ თვლიან.

„40 წელი სრულდება, რაც აქეთ გადმოვსახლდით [აჭარიდან], გურიაში. მანამდე ამხანაგი მყავდა ბახმაროსკენ და, სანამ აქ ჩამოვიდოდი, ოჯახით ვესტუმრე. მამამისს გააცნო ჩემი თავი. მამამისმა, კიო, ვიცო, აჭარაში ეს სოფელიო, სადაც დავდიოდი და ბუხრებს ვაკეთებდი და ამ თათრებთან ნამყოფი ვარ მეო... ჩემმა ამხანაგმა თითი დაუქნია მამამისს – მაგენი თათრები არ არიანო. მეორე დღეს ამ კაცმა იგივე გაიმეორა, მასე იყო მიჩვეული და მერე მე ვუთხარი: თქვენმა შვილმა რომ მითხრას მასე, არ ვაპატიებ და თქვენ გეპატიებათ, ასაკოვანი ბრძანდებით-თქო“ (მუსლიმანი მასწავლებელი მამაკაცი გურიის სოფლიდან).

„მე თავს ერთ რამეში ვგრძნობ შეურაცხყოფილად, აი, „თათარიო“, რომ ამბობენ ჩემზე... ვინც ამას ამბობს, მან არ იცის ისტორია. ეროვნება სხვაა, რელიგია – სხვა“ (მუსლიმანი მასწავლებელი მამაკაცი გურიის სოფლიდან).

მუსლიმანი მოსწავლეების მიმართ მიუღებლობისა და აგრესიის ხარისხი მატულობს მაშინ, როდესაც ისინი, მათი აღმსარებლობიდან გამომდინარე, რელიგიურ რიტუალებს ასრულებენ და გარკვეულ მოთხოვნებს იცავენ - ანუ, იმ შემთხვევაში, როდესაც მუსლიმანი მოსწავლეების რელიგიურობის აქტუალიზაცია ხდება არამუსლიმანებთან კომუნიკაციის პროცესში. ამ შემთხვევაში ვითარებას არ ამსუბუქებს ის გარემოება, თუ რელიგიურობის აქტუალიზაცია სასკოლო სივრცეში კი არ ხდება, არამედ სასკოლო სივრცის გარეთ (მაგალითად, ექსკურსიების ან საზაფხულო ბანაკების ფარგლებში). ფოკუს-ჯგუფში ოზურგეთის ერთ-ერთი საგანმანათლებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჰყვებოდა იმის შესახებ, თუ

როგორ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა ქრისტიანმა მოსწავლეებმა მუსლიმან მოსწავლეებს საზაფხულო ბანაკში, როდესაც ამ უკანასკნელებმა გადაწყვიტეს, მარხვა შეენახათ.

„ძალიან ბევრი ვიწვალეთ, რომ ექვსი [მუსლიმანი] ბავშვი ანაკლიის საზაფხულო ბანაკში გაგვეშვა, 3 - ერთ ჯგუფში, 3 - მეორე ჯგუფში; მაგრამ პირველი 3 ბავშვი რომ მობრუნდა, მეორე სამმა ბავშვმა სასტიკი უარი განაცხადა წასვლაზე და რატომ? - დამთხვევია მარხვის პერიოდი, ამ დროს მუსლიმანები საკვებს არ იღებენ დილიდან დალამებამდე და ხუთჯერ უწევთ, მგონი, ლოცვის პერიოდი. ქრისტიანებმა ეს ბავშვები სცემეს, ერთი მოსწავლე საავადმყოფოშიც კი მოხვდა. ლიდერებმა ეს ამბავი დამალეს, ჩვენი ჩარევა გახდა საჭირო“ (ერთ-ერთი საგანმანათლებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ოზურგეთის რაიონში).

ფოკუს-ჯგუფებში გამოვლინდა ერთი საინტერესო ვითარება: თვით ის მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებიც ტოლერანტულად არიან განწყობილი, ზოგადად, მუსლიმანური თემის (მათ შორის, მოსწავლეების) მიმართ და ცდილობენ სასკოლო სივრცეში დამაბულობის განეიტრალებას, თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას, ცნობიერებაში **ლატენტურად „ინახავენ“** და იზიარებენ სტიგმებს. მაგალითად, ერთ-ერთი სკოლის დირექტორი ფოკუს-ჯგუფში, რომელსაც სურს, პოზიტიურად დაახასიათოს მუსლიმანი მოსწავლე, განცვიფრებას გამოხატავს მისი ინტელექტუალური შესაძლებლობებით და უკვირს მისი განათლებულობის დონე:

„მე მყავს მუსლიმანი მოსწავლეები, რომლებიც ძალიან მაგრები არიან; ერთი კახა ბენდუქიძის უნივერსიტეტშიც სწავლობდა და სულ არ ვიცოდი, მუსლიმანი თუ იყო; და რომ მითხრა, კინალამ გავგიჟდი, იმდენად განათლებული და ისეთი იყო, არ ველოდი“ (ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის დირექტორი).

ზემოთქმულის მიუხედავად, ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ზოგიერთი მართლმადიდებელი მასწავლებელი საუბრობს იმაზე, რომ მუსლიმანი ქართველებიც ახდენენ არამუსლიმანური თემის წარმომადგენლების სტიგმატიზაციას, რითაც ხელს უწყობენ და აღრმავებენ გაუცხოების პროცესს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ

სტიგმებს, ამ შემთხვევაში, რელიგიური საფუძველი კი არ აქვს, არამედ უფრო ეთნიკურ-კუთხური, რაც გარკვეული ცრურწმენებით არის განპირობებული.

„ლანჩხუთში მცხოვრებ აჭარელ მუსლიმანებს არ უნდათ გურული რძალი, ვაჟებს ამას ჩააგონებენ“ (ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელი).

2. ეთნიკურად ქართველი მუსლიმანი მოსწავლეების მიმართ არსებობს სტიგმა, რომ ეს მოსწავლეები ფიზიკური შრომისთვის არიან გაჩენილი და არა უფრო მაღალი კარიერული მიზნებისთვის. ამდენად, თითქოს „ბუნებრივია“, რომ ისინი ცუდად სწავლობდნენ, არ ჰქონდეთ მაღალი აკადემიური მიღწევები. ეს კარგად ჩანს, როცა საქმე ეხება მოსწავლეთა შრომითი მიგრაციის საკითხს: სკოლის ადმინისტრაცია, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების მიგრაციას შემდეგი „ლოგიკით“: „მაინც არ სწავლობს და წავიდეს, იშრომოს, ოჯახს მიეხმაროს“.

„დამოკიდებულება ხშირად ასეთია: მოდი რა, გაუხარე გული და დაუწერე ნიშანი; მესამე [სრული განათლების] საფეხურზე ის [ეთნიკურად ქართველი მუსლიმანი მოსწავლე] მაინც აღარ მოვა, გული არ ატკინო“ (მასწავლებელი გურიის რეგიონიდან).

„შრომისთვისაა დაბადებული და არა სწავლისთვის. ხვალ კარტოფილს მოიყვანს, ზეგ თურქეთში წავა სამუშაოდ...“ (ქართულის მასწავლებელი თბილისიდან).

„რა მოლოდინებიც განუსაზღვრა მასწავლებელმა, ისიც ადგა და ამართლებს; იმიტომ რომ სხვა გზა აღარ დარჩენია, მიადგა კედელს“ (მანანა, მასწავლებელი).

3. ხდება მუსლიმანი ქართველების (განსაკუთრებით, აჭარლების) პოზიტიური დისკრიმინაციაც. კერძოდ, მათ მიაწერენ, რომ არიან შრომისმოყვარე, ბეჯითი ადამიანები; შესაბამისად, ცხოვრობენ გაცილებით შეძლებულად (უკეთესი სახლები აქვთ, ჰყავთ თანამედროვე მანქანები და სხვ.). თუმცა, აქვე იჩენს თავს ახალი სტიგმა: მდიდრები არიან, მაგრამ უგემოვნოები.

„მუსლიმანი კლასელი გვყავდა, აჭარიდან გადმოსული, რომელსაც მშობლებმა უყიდეს კარგი კოსტიუმი, ხარისხიანი და კარგი ბრენდის, მაგრამ იმ კოსტიუმთან ერთად ეცვა შიპებიანი კეტები, რომლებსაც ფეხბურთელები იცვამენ სათამაშოდ. ამ

მწვანე ბუცებით მოვიდა პირველ სექტემბერს... აჭარელია და გემოვნება არ აქვს, ასე იყო აღიარებული“ (NGO სექტორის წარმომადგენელი).

4. სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის, მუსლიმანი სასულიერო პირების, გავლენით, მუსლიმანი მოსწავლე გოგონები უფრო ადრე ტოვებენ საშუალო სკოლას, ვიდრე ვაჟები. ამდენად, სკოლის დამამთავრებელ საფეხურზე, მუსლიმან მოსახლეობაში, გვყავს უფრო მეტი ვაჟი, ვიდრე ქალი. შესაბამისად, სრულ საშუალო განათლებას გოგონების შედარებით ნაკლები პროცენტი იღებს. და ეს პრაქტიკა წახალისებულია მუსლიმანი მოსწავლე გოგონების მშობელთა მხრიდან.

„ოჯახს გააჩნია... გვინახავს, რომ მამა უშლის გოგო შვილს განათლების მიღებას. სკოლასაც კი არ ამთავრებინებს, უკვე უმაღლესზე არაა ლაპარაკი. ეს არ მოგვწონს. ყველა განათლებული უნდა იყოს. ჩვენ ოჯახში არ არის მასეთი ტრადიცია, ყველა თანაბარია სწავლით“ (მუსლიმანი მოსწავლე გურის სოფლის სკოლიდან).

5. ცალკეულ შემთხვევებში მუსლიმანი მოსწავლეების მიმართ ფსიქოლოგიური პრესის გამო (რათა მათ მონაწილეობა მიიღონ მართლმადიდებლურ პრაქტიკაში/რიტუალებში; შეიცვალონ სარწმუნოება და ა.შ.) ხდება სასკოლო სივრცეში **დაძაბული ატმოსფეროს** (ზოგჯერ კონფლიქტის) პროვოცირებაც ქრისტიან მასწავლებლებსა და მუსლიმან მოსწავლეებს, ან თავად ქრისტიან და მუსლიმან მოსწავლეებს შორის.

„ვიყავით ექსკურსიაზე და მასწავლებელმა თქვა, რომ უნდა შევიდეთ ეკლესიაში. ზოგს, ვინც მუსლიმანია, არ უნდოდა შესვლა, მაგრამ მაინც აიძულებდა შესვლას, თქვენი წინაპრები ქრისტიანები იყვნენო და გვაიძულა შესვლა. რომ შევედით ეკლესიაში, მღვდელმა გვკითხა სარწმუნოება და რომ ვუთხარით, რომ მუსლიმანები ვიყავით, გვითხრა: ჭეშმარიტი სარწმუნოება არ არის მუსლიმანობა და უნდა გადმოხვიდეთ ქრისტიანობაზეო. ჩვენც ხომ გვქონდა ჩვენი აზრი და დაფიქსირება გვინდოდა და მასწავლებელმა გაგვაჩუმა... ეკლესიის მოპირდაპირედ იყო მეჩეთი, გვინდოდა შესვლა და მასწავლებელს ვერ გავუბედე“ (მუსლიმანი მოსწავლე გოგონა გურის სოფლიდან).

„იმ მასწავლებლების დამოკიდებულება, რომლებიც დიდი ხანია, მუსლიმანებთან შეხებაში არიან, ნორმალურია; იმდენად ბუნებრივია ეს ურთიერთობა მათთვის, რომ

ჩვეულებრივად აღიქვამენ. და აი, ახალი მასწავლებელი რომ მივიღე სკოლაში, მართლმადიდებელი, იმან შემიქმნა პრობლემები: ბავშვებს ლოცვა დაავალა დაწყებით კლასებში და 2-3 ბავშვი თურმე ადგა, არ ლოცულობს. ჰოდა, ადგა ეს მასწავლებელი და ამ ბავშვების მშობლები დაიბარა სკოლაში, გასაკიცხად და გასაქრისტიანებლად. გადავირიე კინაღამ“ (ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის დირექტორი).

6. მუსლიმანი ქართველები ილტვიან იმ სასწავლო ინსტიტუციებისკენ, რომლებშიც მათზე ზრუნავენ და არ ახდენენ მათ მარგინალიზაციას. ესაა მედრესეები. მუსლიმანი მოსწავლეების დიდი ნაწილი სკოლისგან თავისუფალ დროს (ძირითადად, ზაფხულის არდადეგებზე) რელიგიურ სკოლა-პანსიონებში დადის. მათი განცხადებით, ამის მთავარი მოტივაციაა არაბული ენის შესწავლა, რათა მათ შეძლონ ყურანის წაკითხვა დედანში.

7. როგორც ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველების ურთიერთობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, რომელთაგან ერთ-ერთი ძირითადია **თანაცხოვრების ხანდაზმულობა**. იმ თემებში, რომლებშიც ქართველი მუსლიმანებისა და ქრისტიანების ბევრ თაობას აქვს თანაცხოვრების გამოცდილება, ურთიერთნდობისა და სიახლოვის ხარისხი მნიშვნელოვნად მაღალია, რაც არ ითქმის გურიის რეგიონში აჭარიდან ბოლო რამდენიმე წელიწადში ჩამოსახლებულ მუსლიმან ოჯახებსა და ადგილობრივ თემებს შორის ურთიერთობის შესახებ. მეტიც: დისკუსიებში არაერთხელ ითქვა, რომ აჭარიდან ბოლო ხანს ჩამოსახლებული მუსლიმანი ქართველები „თურქების მიერ მართვადი“ და „მათი ინტერესების გამტარებელი“ ჯგუფია. ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, კიდევ უფრო აძლიერებს მუსლიმანი ქართველების „არაჩვენიანებად“, „უცხოებად“ მიჩნევას, რაც უარყოფითად აისახება სასკოლო სივრცეში მუსლიმან და ქრისტიან მოსწავლეებს, ისევე, როგორც მასწავლებლებს შორის ურთიერთობასა და თანამშრომლობაზე.

„მაგ სოფელში ვინც წყალი აამღვრია, არიან ახალჩამოსულები აჭარიდან და მე ვიტყვი, რომ ისინი არიან თურქების მიერ მართვადი, თურქეთიდან ფინანსდებიან. მე ასე ვვიქრობ... მედრესეებშიც ამათი ბავშვები დადიან; აბა, ჩემი სოფლიდან, სადაც

მუსლიმანები, ათეული წლებია, ცხოვრობენ, არავინ დადის იქ, თუმცა იქვეა, 2 კილომეტრში“ (ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის დირექტორი).

8. საჯარო სკოლების ზოგიერთი ქრისტიანი მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი საუბრობს გურიაში აჭარიდან ახალგადმოსახლებული მუსლიმანი მოსახლეობის პრივილეგირებულ მდგომარეობაზე ადგილობრივ (გურულ) მოსახლეობასთან შედარებით; მათი აზრით, ეს პრივილეგირებულობა ვლინდება ასევე საგანმანათლებლო ინსტიტუტების (სკოლები, მედრესეები) ინფრასტრუქტურულ გამართულობაში; კერძოდ, მუსლიმანურ სკოლებს ემსახურება ტრანსპორტი, სკოლა მოწყობილია თანამედროვე ინვენტარით, გათბობის სისტემებით და ა.შ. ამ თემს სურს, თავისი სკოლა ჰქონდეს, რომელიც არ იქნება აღმსარებლობის თვალსაზრისით შერეული, ანუ მასში არ ისწავლიან ქრისტიანი ბავშვები. ამას ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები სწორედ ე.წ. „მესამე ძალის“ ჩარევას მიაწერენ, კერძოდ, თურქეთის დაინტერესებული ჯგუფების სურვილს, რომ ინსტიტუციურად გაძლიერდეს თურქეთის გავლენა რეგიონში და შეიქმნას იდეოლოგიურად ისლამისტური საგანმანათლებლო კერები, სადაც ეთნიკურად ქართველები ისწავლიან.

„ზოგიერთ სოფელში ცალკე სკოლებს ითხოვენ აჭარიდან ჩამოსულები... თურქების სახით პატრონაჟი შექმნეს, სწავლობენ თურქულს, უყურებენ თურქულ სატელევიზო არხებს... დიდი თანხები აქვთ თურქებისგან“ (ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელი).

სკოლის დირექტორების ფოკუს-ჯგუფში გამოითქვა მოსაზრება, რომ თურქეთის გავლენიანი ინტერესთა ჯგუფების მიერ ლობირებული მუსლიმანური თემი (აჭარიდან ჩამოსახლებული) ცდილობს, პრივილეგირებული მდგომარეობა გაიმყაროს და თავად იყოს ადგილზე (სოფელში) სიტუაციის ბატონ-პატრონი. ასეთ შემთხვევაში, ისინი თავად ილტვიან სეპარაციისკენ და არ ამჟღავნებენ ქრისტიან ქართველებთან თანამშრომლობის სურვილს, მზაობას.

„ჩემს მეხუთეკლასელ შვილს მუსლიმანმა თანაკლასელმა უთხრა, რატომ სწავლობ კარგად, შენ ხომ არ გგონია, უფროსი ამ სოფელში შენ იქნები, მე უნდა ვიყო“ (გურიის ერთ-ერთი სოფლის სკოლის დირექტორი).

9. შერეულ სკოლებში, სადაც მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველები სწავლობენ, არსებობს დისბალანსი ამ ორ ჯგუფს შორის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით; მუსლიმანი კურსდამთავრებულებიდან მხოლოდ ერთეულები აბარებენ უმაღლეს სასწავლებელში.

10. რელიგიური განსხვავებების გამო გათიშულობა და გაუცხოება სუსტდება ახალგაზრდა თაობაში. ახალგაზრდებში ეროვნული იდენტობის განცდა აღემატება რელიგიური იდენტობის განცდას.

„ჩვენ ხაზს ვუსვამთ უფრო ეროვნებას, ვიდრე რელიგიას. ჯერ არის ქართველობა, მერე არის სარწმუნოება“ (მუსლიმანი მოსწავლე გურიის სოფლის სკოლიდან).

მიუხედავად ამისა, ეროვნებით ქართველ მუსლიმანურ თემს მაინც აქვს მიდრეკილება, რომ კომპაქტურად დასახლდეს, თანაც მთაში, რადგან მისი წარმომადგენლები აქ უფრო დაცულად გრძნობენ თავს; ხოლო თუ ბარში გადმოსვლას გადაწყვეტენ, აქაც კომპაქტურად დასახლებას ამჯობინებენ, ანუ კოლექტიურად ჩამოდიან.

5. სასკოლო ცხოვრებაში რელიგიური ინტერვენციის პრევენცია

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა ისაუბრეს იმ გზებზე, რომლებიც შეასუსტებს საჯარო სკოლებში სეგრეგაციას („ჩვენ და ისინი“) და ხელს შეუწყობს სკოლაში მუსლიმანი და ქრისტიანი აქტორების (მასწავლებლები, მოსწავლეები) დაახლოებას რელიგიური განსხვავებების პატივისცემის საფუძველზე:

1. საჭიროა სკოლებში (სადაც ქრისტიანებთან ერთად მუსლიმანი ქართველები სწავლობენ) სწავლების მეთოდოლოგიის შეცვლა, როდესაც საქმე ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას ეხება; კერძოდ, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, რელიგიური თვალსაზრისით სენსიტიური მხატვრული ნაწარმოების სწავლებისას აქცენტი უნდა დაისვას არა სიუჟეტზე და ისტორიულ ნარატივზე, არამედ მხატვრული გამოხატვის ხერხებზე, ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეზე. აგრეთვე, საჯარო სკოლებში რელიგიის ისტორია უნდა გულისხმობდეს არა მარტო მართლმადიდებლობის სწავლებას, არამედ ყველა ძირითადი რელიგიისა (ასე იყო დაწერილი, მაგალითად, რევაზ თვარაძის სახელმძღვანელო, რომელსაც ერქვა „რელიგია და კულტურა“).

„არ უნდა იყოს ისე, რომ აუცილებლად შუშანიკის და აბოს წამების შინაარსი [სიუჟეტი] მოუყვეს მასწავლებელმა მოსწავლეებს, პატრიოტიზმის მაგალითებად წარმოაჩინოს... საჭიროა უფრო ნეიტრალური მიდგომა, ნაწარმოების, როგორც მხატვრული ნიმუშის, და არა როგორც რაიმე ამბავის სწავლება“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელი).

„[სასწავლო მასალის] ახსნის დროს ინტერპრეტაციები და შეფასებები უნდა გავაკეთოთ, მაგრამ ყველა კუთხიდან უნდა იყოს ეს ინტერპრეტაცია გაკეთებული, სხვადასხვა პერსპექტივით. და ყველას კლასში უნდა მივცეთ განსხვავებული აზრის გამოთქმის შესაძლებლობა“ (ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელი).

2. მიზანშეწონილია სასწავლო პროგრამების რევიზია, განსაკუთრებით იმ სკოლებში, რომლებშიც მუსლიმანი ქართველები სწავლობენ; კერძოდ, ვთქვათ, ქართული ლიტერატურის სასწავლო პროგრამა უნდა გაძლიერდეს მუსლიმანური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით; მოსწავლეს, სულ მცირე, მხატვრული

ნაწარმოებებიდან ისეთი საზეპირო ტექსტები მაინც არ უნდა მიეცეს, რომლებიც რელიგიურად სენსიტიურ თემებს ეხება.

„აჭარა საქართველოს რომ დაუბრუნდა, ილია ჭავჭავაძემ რაც გააკეთა, ყურანი უთარგმნა ქართულად... ყურანი და ბიბლია რო ნახო, ძან ჰგავს კიდეც ერთმანეთს. ის მინდა ვთქვა, რომ, რა დოზითაც ისწავლება ქრისტიანული ნაწარმოებები, რატომ არ შეიძლება რამე მუსლიმანური ლიტერატურული ძეგლები ისწავლებოდეს? ან თუნდაც ქართული ნაწარმოებები მუსლიმანებზე დადებითი აქცენტებით? სულ მახსენდება შოთა ნიშნიანიძის ლექსი: „ცოტნე გმირია, დიდებული გმირი – ოღონდაც, თუ ბიჭები ვართ, ნუ ვახსენებთ მარტოდენ ცოტნეს, ვახსენოთ სახედაღრეჯილი ლომი მონღოლი, გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე“. აქ მონღოლში შეიძლება თურქიც ვიგულისხმოთ, სპარსელიც და ნებისმიერი“ (სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი).

3. სკოლებს ავტონომიურობის უფრო მაღალი ხარისხი უნდა ჰქონდეს; მათ თავად უნდა განსაზღვრონ საკუთარი საჭიროებები და მოითხოვონ დახმარება. შესაბამისად, რელიგიური თვალსაზრისით არაერთგვაროვან („ჭრელ“) სკოლას (სკოლებს) უნდა მიეცეს სასწავლო პროგრამის მოდიფიცირების უფრო მეტი შესაძლებლობა.

„მასწავლებელს აქვს თავისუფლება. მისაღწევი შედეგი მისთვის ის კი არ არის, რომ ჰავიოგრაფიაში აბოს წამება გააცნოს მოსწავლეებს აუცილებლად; არა, მასწავლებლისთვის მისაღწევი შედეგი შეიძლება იყოს რაღაც უნარის გამომუშავება. ამას „აბოთი“ გამოვიმუშავებ თუ გრიგოლის [ხანძთელის] ტექსტის დამუშავებით, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ამიტომ ვამბობ, რომ ეს პერიოდიზაცია [ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა] არ არის საჭირო... თუმცა, კვლავ ამ პერიოდიზაციას ასწავლიან; ეტყობა, გვეშინია ამის გარეშე“ (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თბილისიდან).

4. საჭიროა, ჩატარდეს მასწავლებელთა გადასამზადებელი ტრენინგები, რომლებიც შეეხება ეთნიკურად ქართველი მუსლიმანი მოსწავლეების მიმართ მეტი მგრძობელობის გამომუშავებას სწავლების მეთოდებისა და სასწავლო მასალის ინტერპრეტაციის პროცესში. ეს აუცილებელია, რადგან მასწავლებლები ხშირად გაუცნობიერებლად ახდენენ მუსლიმანი მოსწავლეების მარგინალიზაციას.

„[ისტორიული] ფაქტები უნდა დარჩეს ფაქტებად. ორივე მხრიდან უნდა მოხდეს ამის ანალიზი, რომ მართლმადიდებლების მხრიდან ამ კონკრეტული ფაქტის მიმართ რა დამოკიდებულებები შეიძლება არსებობდეს და მუსლიმანების მხრიდან – როგორი. ანალიზი უნდა წარიმართოს ისე, როგორც გასაგები იქნება ორივე მხარისთვის“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი).

შესაბამისად, ტრენინგებს უნდა ჰქონდეს როგორც წმინდა საგანმანათლებლო, ისე ღირებულებითი დანიშნულება; კერძოდ: ა) ტრენინგებმა უნდა მოიცვას სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები, რათა სწავლებამ რელიგიურად სენსიტიური თემები გაითვალისწინოს და სწორად წარმოაჩინოს (ეს განსაკუთრებით ეხება ქართული ლიტერატურის და ისტორიის სწავლებას); ბ) ტრენინგებმა უნდა გაზარდოს რელიგიური იდენტობით გამოწვეული განსხვავებების მიმართ შემწყნარებლობისა და მიმდებლობის კულტურა. მთლიანობაში, საჯარო სკოლებში უნდა გაძლიერდეს *მულტიკულტურული განათლების* კომპონენტი.

„ტრენინგები ძალიან მნიშვნელოვანია როგორც იმ უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, თუ როგორ მიიღო შენგან განსხვავებული ადამიანები, ასევე წმინდა სწავლების მეთოდების კუთხით – იგულისხმება ქართული ლიტერატურა და ისტორია, იმიტომ რომ ესენია ყველაზე მგრძობიარე საგნები“ (ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელი).

„აუცილებელია მულტიკულტურული განათლების შეტანა სკოლაში. ქართველმა მუსლიმანმა უნდა გაითავისოს, რომ ისიც საქართველოს ისეთივე მოქალაქეა, როგორც ჩვენ. და ერთმანეთის რელიგიურ ღირებულებებს არ უნდა შევეხოთ. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩვენ გვაქვს მულტიკულტურული განათლება შემოტანილი, მაგრამ, როგორც ჩანს, არ არის საკმარისი“ (ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლებელი).

5. საჭიროა სასკოლო სივრცეში (ან მის გარეთ) ღია დისკუსიების წარმართვა, რომლებშიც ჩაერთვება ყველა დაინტერესებული მხარე; აგრეთვე, ნებისმიერი უთანხმოების ან დაძაბულობის დიალოგის რეჟიმში გადატანა, რაც კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია.

„დიალოგი ერთ სივრცეში სხვადასხვა მხარეებს შორის – ეს არის საკმაოდ კარგი გამოსავალი. ჩვენ [ქრისტიანები] მაინც ყველა ერთ მხარეს ვართ, ერთი მიმართულებით ვიყურებით. დიალოგში უნდა შემოვიდნენ მუსლიმანებიც – მშობლები, მასწავლებლები, მოსწავლეები... დისკუსია უნდა გაიმართოს“ (ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის დირექტორი).

6. საჭიროა, გაძლიერდეს გაცვლითი სოციალური პროგრამები, როგორცაა, მაგალითად, მოსწავლეების მობილობა ერთი რეგიონის ოჯახებიდან სხვა რეგიონების ოჯახებში. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ მოზარდს გაუჩნდეს მიმდებლობა და მოახერხოს ადაპტირება მისგან განსხვავებულ ცხოვრების წესთან და შეხედულებებთან;

უნდა გაიზარდოს აგრეთვე ინტენსიურობის ხარისხი მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკებისა, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა აღმსარებლობის, ეროვნების, ფიზიკური მდგომარეობის და ა.შ. ახალგაზრდები.

„გაცვლითი პროგრამები გვჭირდება – სხვა ოჯახებში ამ [მუსლიმანი] ბავშვების ჩაყვანა, ხულოდან ქვემო ქართლში, შიდა ქართლში და ასე... საზაფხულო ბანაკებიც უნდა მოეწყოს. ჩვენ რაღაც [მულტიკულტურულ] ღონისძიებაზე ვიყავით და ყველამ გავაკეთეთ სხვადასხვა კერძი, ერთმანეთის კუთხეში რაც არის გავრცელებული. ასეთი რაღაცები უწყობს ხელს დაახლოებას“ (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია. (24 აგვისტო, 1995). თბილისი
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის ბრძანება №36/ნ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“
4. საჯარო სკოლების ისტორიის სახელმძღვანელოების დისკურსის ანალიზი. ევროკავშირის მიმდინარე პროექტი Study of Relationship of Different Socio-Cultural Parameters, Education and Violent Extremism in Youth, რომელსაც ახორციელებს სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. 2017 წ.
5. მინდიაშვილი, ბ., გახელაძე, გ., თაბორიძე, ი. (2016). რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვა სასკოლო სახელმძღვანელოებში. თბილისი: ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)
6. კილურაძე, ნ., სანიკიძე, გ. გორდეზიანი, ლ. ფირცხალავა, ლ. გაჩეჩილაძე, რ. ასათიანი, ნ. (2007). საქართველოს ისტორია. მე-11 კლასი. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
7. ასათიანი, ნ., ლორთქიფანიძე, მ., ლომაშვილი, ფ., მეტრეველი, რ., ოთხმეზური, გ. საქართველოს ისტორია. მე-9 კლასი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
8. საქართველოს სახალხო დამცველი (2016). საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ. თბილისი
9. ღვინიაძე, ლ., ბარქაია, მ., (2014). რელიგია საჯარო სკოლებში (განათლების პოლიტიკის ანალიზი რელიგიის თავისუფლების პერსპექტივიდან). ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
10. ჩხეიძე, ზ. (2014). რელიგიურ გაერთიანებათა საჭიროების კვლევა საქართველოში. თბილისი: ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)